სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

09 დეკ 2024

გადაწყვეტილება # 892024879370-03 (09.12.2024)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

განცხადების ნომერი: **892024879370** განცხადების მიღების თარიღი: **03.12.2024 15:05**

დაინტერესებული პირი: **დიმიტრი ყურაშვილი (20001012362)**

უძრავი ნივთის მისამართი/საკადასტრო კოდი: **ქალაქი თბილისი, მუხრან მაჭავარიანის ქუჩა N28,, 01.10.18.006.080**

მომსახურების სახე: **ექსპლუატაციაში მიღება (მრავალერთეულიანი ობიექტი)**

დ ა ს კ ვ ნ ა

1. შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1. .“ბ“, „გ“ და „ი“ მუხლის შესაბამისად.

2. სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის:

წარმოსადგენია ურთიერთ შესაბამისობაში მყოფი ბრძანება და საპროექტო დოკუმენტაცია, საკადასტრო აზომვითი ნახაზი და ფართების განაწილების დოკუმენტი ძველი და ახალი მდგობარეობის მითითებით.

3. 30 კალენდარული დღის ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება.

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1. განცხადებით მოთხოვნილია ექსპლუატაციაში მიღება (მრავალერთეულიანი ობიექტი)
2. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ საქმეში არსებული ყველა დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა, რომ ბრძანებაში მითითებული ფართები შესაბამისობაში არ მოდის პროექტის ფარებთან, (პროექტოექტის საფუძვლეზე საცხოვრებელი 1684.70 კვ.მ, საზაფხული 334.70 კვ.მ, კომერცული 420.88 კვ.მ, ასევე არ ირკვევა კომერციულ ფართში შედის თუ არა საზაფხულო ფართიც), ამასთან განაცხადითწარმოდგენილი არ არის დოკუმენტი უკვე რეგისტრირებული ფართი რა გახდა ახალი ბრძანების საფუძვლეზე, და უძრავი ნივთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი.

3. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, ვინაიდან განცხადებას თანდართული დოკუმენტი/ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და წესით, დაინტერესებული პირის განცხადება ან/და თანდართული დოკუმენტი ან ინფორმაცია არ იძლევა უძრავი ნივთის იდენტიფიკაციის საშუალებას ან არსებობს საქართველოს კანონმდებლობით

გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.”

4. ამდენად, სახეზეა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე. გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, №22; ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია სსიპ იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1), მის სტრუქტურულ ერთეულებსა და ტერიტორიულ ორგანოებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით.

ბრძანება:**ბ17. 01243333**

თარიღი:**28/11/2024**

განცხადების ნომერი: 01243272010-17
განცხადების თარიღი: 22/11/2024

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი
- საკადასტრო კოდი :01.10.18.006.080
- მისამართი :ქალაქი თბილისი, მუხრან მაჭავარიანის ქუჩა, N 28

განმცხადებელი-დამკვეთი :შოთა ასპანიძე
პირადი ნომერი :35001120922
მისამართი :საქართველო, ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნიჯგორი, ვარძიის I ჩიხი, N 2

ნომენკლატურა :განხორციელებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღება ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები / ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები / ქმედება: მშენებლობის ნებართვისა და შეთანხმებული პროექტის ცვლილებით განხორციელებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღება / კლასი: IV

სტადიები:
- ექსპლუატაცია

მოთხოვნის შინაარსი
- მოთხოვნის ტექსტი :გთხოვთ მიიღოთ ექსპლუატაციაში შენობა მცირედი დარღვების დადასტურებით

დამკვეთის ან უფლებამოსილი პირის ინფორმაცია
- დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი :20001012362
- დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :დიმიტრი ყურაშვილი
- ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში) :შპს "აქტივი"
- საიდენტიფიკაციო კოდი :405047505

განხორციელებული მშენებლობის შედეგად მიღებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). /ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები დაანგარიშდეს იმ კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც შეთანხმდა საპროექტო დოკუმენტაცია/
- მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) :690.0
- განაშენიანების ფართობი (კვ.მ) :374.4
- საერთო ფართობი (კვ.მ) :3123.0
- საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ) :1686.1
- კომერციული ფართობი (კვ.მ) :429.8
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ) :342.6
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ) :321.8
- ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ) :342.7
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ) :10329.0
- 0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ) :9080.0
- 0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ) :1249.0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ განიხილა თქვენი N01243272010-17 ელექტრონული განცხადება და პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 1413 მუხლის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 ივლისის N85-73 დადგენილების „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და გაცნობის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ", ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-94 დადგენილების „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ"

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში ქ. თბილისი, მუხრან მაჭავარიანის ქუჩა, N28-ში (ს/კ N01.10.18.006.080) მდებარე სანებართვო პირობების დარღვევით ნაწარმოები მშენებლობა დამთავრებული ობიექტი (მრავალფუნქციური შენობა).

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ზაზა კვიციანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე
(მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

